საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო
ბრძანება № 549

KA012048298217714

თბილისი 13 / მაისი / 2014 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების - სააღსრულებო ბიუროების უფროსებისათვის და სტრუქტურული ერთეულის - აღსრულების პოლიციის სამმართველოს უფროსისათვის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის, ,,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 6 მაისის N24 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების მე-5 მუხლის „კ“ და ,,პ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. მიენიჭოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს (შემდგომში - აღსრულების ეროვნული ბიურო) ტერიტორიული ორგანოების - სააღსრულებო ბიუროების უფროსებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 18^4 მუხლით გათვალისწინებული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების განწილვადების და ამ მიზნით ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება.

2. მიენიჭოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის - აღსრულების პოლიციის სამმართველოს უფროსს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 84-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული, უძრავი ქონების მფლობელისათვის ქონების მართლზომიერი მფლობელობისა და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის ვადის გაზრდის და ამ მიზნით ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების - სააღსრულებო ბიუროების უფროსებისათვის და სტრუქტურული ერთეულის - აღსრულების პოლიციის სამმართველოს უფროსისათვის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2011 წლის 18 იანვრის №40 ბრძანება.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ვლადიმერ გურგენიძე